საგანმანათლებლო პროექტის გეგმა

პროექტის სახელწოდება	ჩვენი ენა ქართული
პროექტის აქტუალობა	ქართულმა ენამ უკვე დიდი ხანია დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ენათა კულტურაში. მან მრავალ განსაცდელს გაუძლო საუკუნეების განმავლობაში, მრავალჯერ იყო განადგურების ,გაქრობის საფრთხის წინაშე სხვადასხვა რჯულისა თუ ერთმორწმუნე დამპყრობლების ინტერესების გამო, მაგრამ ის ძალიან სიცოცხლისუნარიანი და ძლიერი აღმოჩნდა, დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა. ერთ-ერთი ბოლო განსაცდელის გადატანის შემდეგ კი მისი აღნიშვნის დღეც დაწესდა _ 14 აპრილი. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რა დამოკიდებულება აქვს მომავალ თაობას ქართულ კულტურასთან, კერძოდ, ენასთან . ახალგაზრდებს აქვთ კი გაცნობიერებული მისი უნიკალურობა, იციან ქართული ენისა და დამწერლობის ისტორია, მისი განვითარების ეტაპები, ესმით ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს გზადაგზა და არიან მზად, იტვითონ ენის დაცვა და საფრთხეების აღმოფხვრა? სწორედ ამ პრობლემების განსახილველად დაიგეგმა ეს პროექტი.
პროექტის მიზნები	უნდა შემუშავდეს ერთიანი კომპლექსური ღონისძიება კათედრაზე, დაიგეგმოს, ერთი თვის განმავლობაში მომზადდეს პროექტი ქართული ენის, დამწერლობის მნიშვნელობის გასაცნობიერებლად, სახელმწიფო ენის პოპულარიზაციის მიზნით; მიზნები: ● მოსწავლეთა დაინტერესება ● კვლევის უნარის განვითარება. ● ჩვენი ეროვნული საგანძურის მნიშვნელობის გაცნობიერება; ● რეფერატების, პრეზენტაციების, სხვადასხვა სლაიდშოუს შექმნის უნარების განვითარება ● კალიგრაფიის კონკურსი; ● ნახატების კონკურსი; ● მომზადებული ნამუშევრების პრეზენტაცია ბიბლიოთეკაში; ● მომზადებული მასალების ატვირთვა ბლოგზე;
საგნობრივი სტანდარტი	ქართ. X. 1. მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება საკლასო და სასკოლო დისკუსიებში. ● იყენებს ფაქტებს (მაგ., სტატისტიკურ მონაცემებს) და ციტატებს სხვადასხვა წყაროდან საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად; ქართ. X. 3. აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლისას მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის ეფექტიანობის გასაძლიერებელი ხერხების გამოყენება. ● მიიპყრობს მსმენელის ყურადღებას (გამოყოფს მოხსენების საინტერესო ნაწილს სპეციალური ლექსიკის, ჩანართების, რიტორიკული შეკითხვების, შეძახილების საშუალებით, მაგ.: „აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის“, „ეს ხომ ძალიან იოლია“, „რა არის აქ არაჩვეულებრივი?!“ „ევრიკა!“ და სხვ.); ქართ. X. 4. მოსწავლეს შეუძლია თანაკლასელთა ზეპირი მოხსენებების გაანალიზება და შეფასება. ● მსჯელობს იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტური იყო მოხსენების შესავალი ნაწილი (შეძლო თუ არა მომხსენებელმა მსმენელებთან კონტაქტის დამყარება; საუბრის თემის გამოკვეთა; მოახერხა თუ ვერა მსმენელის დაინტერესება და რა ხერხები გამოიყენა ამისათვის);

	ქართ. X. 7. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ტექსტში ფაქტობრივი, კონცეპტუალური და ქვეტექსტური ინფორმაცია. ქართ. X. 11. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს თხზულება სხვადასხვა მიზნით და სხვადასხვა აუდიტორიისათვის. ● ირჩევს მიზნისა და აუდიტორიის შესაფერის სტილს (მაგ., თუ ნაწერი მისი თანატოლების ან მასზე უმცროსებისთვისაა განკუთვნილი, ირჩევს სასაუბრო ტონს და მის შესატყვის ლექსიკას; საკონფერენციო თემისათვის - აკადემიურ სტილს და სხვ.); ქართ. X. 13. მოსწავლეს შეუძლია სასწავლო რეფერატის დაწერა ერთი ან რამდენიმე წყაროს მიხედვით. ● მოიძიებს და დაამუშავებს წყაროებს; ● ადგენს რეფერატის გეგმას; ● წერს რეფერატს შესაბამისი სტანდარტის დაცვით (ზუსტად პასუხობს თემას, მიზნობრივად იყენებს წყაროებს, აფორმებს შესაბამი სად); ● ამზადებს რეფერატის საპრეზენტაციო ვარიანტს;
პროექტის ამოცანები	**მოამზადონ** ინტერვიუები თემის(მიზნობრივი ჯგუფების) სხვადასხვა სეგმენტთან კვლევის მიზნით; **მოიძიონ და განიხილონ** სხვადასხვა სახის ინფორმაცია ქართული ენის, ქართული დამწერლობის შესახებ; **გაეცნონ** სხვადასხვა ენათმეცნიერის ნაშრომებს; **იმსჯელონ** ენის როლზე ადამიანის განვითარების გზაზე; **შექმნან** მცირე მოცულობის დეკორატიული ხელწერის ნიმუშები კონკურსის ფარგლებში; **შექმნან** რეფერატები, პრეზენტაციები, სლაიდშოუები, საინფორმაციო ბუკლეტები, პოსტერები; **ჩაატარონ პროექტის პრეზენტაცია და შეაფასონ** ენის როლი და მნიშვნელობა დღევანდელ საზოგადოებაში(კონკრეტულად, თემში); **ატვირთონ** მომზადებული ყველა რესურსი საკონკურსო ბლოგზე;
პროექტის განხორციელების წინაპირობები	დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევები; ჯგუფში მუშაობის უნარ-ჩვევები; კვლევის საბაზისო უნარ-ჩვევები; პრეზენტაციის ჩატარების უნარ-ჩვევები; ინტერნეტში მუშაობის უნარ-ჩვევები; ტექნიკური უნარ-ჩვევები;
პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები	**აქტ.1.** მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის იდეის გაცნობა. **აქტ.2.** ორგანიზაციული საკითხი: ● ინდივიდუალური სამუშაოების განაწილება ● ჯგუფის შექმნა (3 მოსწავლე) ● ფუნქციების განაწილება ● კონკრეტული დავალებების განსაზღვრა

	აქტ.3. საზოგადოების სხვადასხვა ფენიდან ჩაიწერენ, რა იციან 14 აპრილზე-ქართული ენის დღეზე, რა ინფორმაციას ფლობენ სახელმწიფო ენის შესახებ, რა უნახავთ. **<u>აქტივობას ახორციელებენ მოსწავლეები;</u>** **აქტ.4.** კვლევის შედეგების ანალიზი (დიაგრამების, სქემების, ცხრილების საშუალებით); **– <u>მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად;</u>** **აქტ.5** მოიძიებენ ინფორმაციას ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ; **- მოსწავლეები;** **აქტ.6.** გაეცნობიან მეცნიერთა პოპულარულ ენაზე დაწერილ ნაშრომებს.(ასაკის შესაბამისად), მოიძიებენ მასალას ინტერნეტში; **<u>მოსწავლეთა აქტივობა;</u>** **აქტ. 7.** ჩაატარონ: 1.კონკურსი - დეკორატიული ხელწერა - ვწერთ ,,ვეფხისტყაოსანს". 2.კონკურსი - ,,ვინ უკეთ დახატავს ქართულ ანბანს?" **<u>მასწავლებელი, მოსწავლეები;</u>** **აქტ.8.** რეფერატებისა და პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა; **<u>- მოსწავლეები;</u>** **აქტ. 9** საინფორმაციო ბუკლეტებისა და პოსტერის მომზადება; **მოსწავლეები, მასწავლებელი;** **აქტ.9.** წარდგენილი პრეზენტაციებისა და განხორციელებული სამუშაოების ამსახველი მასალის გამო-ქვეყნე ბა ბლოგზე. გაცნობა უფრო ფართო აუდიტორიისთვის. **–<u>მასწავლებელი, მოსწავლეები;</u>** **აქტ.9.** პროექტის რეფლექსია; **<u>- მასწავლებელი, მოსწავლეები;</u>**
პროექტში მონაწილეების ასაკი, კლასი	II, IV, V, VI, VII, VII, IX, X კლასების მოსწავლეები, მასწავლებლები,მშობლები, თემი
პროექტის მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგია	*<u>შეფასდებიან შემდეგი აქტივობების მიხედვით:</u>* ● დავალების მიზნის გაცნობიერება - (დაკვირვებით მათ ჩართულობაზე) ● მასალის დამუშავება - (მათი ჩანაწერთა დღიურების საშუალებით) ● მეტყველების კულტურისა და ენობრივ-გრამატიკული ნორმების დაცვა - (მასწავლებლის დაკვირვება) ● შემოქმედებითობა - (რუბრიკით) ● როგორც დამოუკიდებელი, ასევე ჯგუფში მუშაობა - (რუბრიკით) ● პრეზენტირების უნარი - (რუბრიკით) პროექტის განმავლობაში ხშირად გამოვიყენებ გამოკითხვის მეთოდს, გავითვალისწინებ მათ საბაზისო ცოდნას, უნარებს(კვლევის საბაზისო უნარებს, ინტერნეტში მუშაობის ტექნიკურ უნარ-ჩვევებს), შემდგომი ინსტრუქციისა თუ რჩევის მისაცემად. გამოვიყენებ გონებრივ იერიშს, უკუკავშირს. მასწავლებლის სამუშაო შეხვედრები მოსწავლეებთან იმართება ყოველი კვირის ბოლოს. მონიტორინგს განახორციელებს დირექტორის მოადგილე ---- (დააკვირდება მოსწავლეთა ჩართულობას, ორგანიზებულობას, გამოიყენებს შეფასების რუბრიკებს).

პროექტის განხორციელების რისკები და შესაძლო ხარვეზები და მათი თავიდან აცილების გზები	● მოსწავლეთა სამუშაო ჯგუფებში შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება დავალებების შესრულებაზე, შეიძლება სხვადასხვა პასუხისმგებლობით მოეკიდნენ სამუშაოს, ზოგიერთი იყოს პასიური ან ზედმეტად ბევრი აიღოს თავისთავზე; ● იყოს გაუგებრობა, საკუთარი მოსაზრების ჯიუტად გატანის მცდელობა; ამითვის საჭიროა ჯგუფში ფუნქციების სწორად განაწილება, ჯგუფის წესების შემუშავება მოსწავლეებთან ერთად, მეთვალყრის არჩევა, რომელიც დაარეგულირებს სამუშაო პროცესს. ● შეიძლება კვლევის პროცედურა სწორად ვერ წარმართონ, გაუჭირდეთ მისი სპეციფიკის გამო; საჭირო იქნება დამატებითი ინსტრუქციები, ცხრილებისა და დიაგრამების შეთავაზება, დახმარება მონაცემთა დამუშავების დროს; ● შესაძლოა ჰქონდეთ პლაგიატის მცდელობა, ინტერნეტსივრცეში განთავსებული მასალების წყაროს მითითების გარეშე გამოყენებისა. მასწავლებელი მათ აცნობს საავტორო უფლებების შესახებ.
მოსალოდნელი შედეგები	**მოკლევადიანი შედეგები:** ● ჩაიწერენ მასალებს, გააანალიზებენ, კვლევის შედეგად დაადგენენ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და მონახავენ მისი მოგვარების გზებს; ● შექმნიან რესურსებს: რეფერატებს, პრეზენტაციებს, ელექტრონულ წიგნებს, რომლებიც აიტვირთება ბლოგზე და ხელმისაწვდომი იქნება სხვა მოსწავლეებისათვის; ● მასალებს წარადგენენ პროექტის პრეზენტაციაზე; ● მასალებს ატვირთავენ ბლოგზე; **გრძელვადიანი შედეგები:** ● მოსწავლეები დაინტერესდებიან ქართული ენის შესწავლით, გააცნობიერებენ ამ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს; ● განუვითარდებათ კვლევის უნარები; ● განუვითარდებათ დეკორატიული წერის კულტურა; ● განუვითარდებათ ტექსტის გააზრებისა და ანალიზის უნარები;. ● დახვეწენ პრეზენტაციაზე ნამუშევრების წარდგენის უნარ-ჩვევებს; ● დახვეწენ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს;
პროექტის განხორციელების თვის საჭირო დრო	სულ 1 თვე: I კვირა /25.02-02.03/ -- ფოკუსჯგუფების შერჩევა, ინტერვიუები,მასალის მოგროვება, დახარისხება, ანალიზი; II-III კვირა /04.03-14.03/ -- ინფორმაციის მოგროვება ქართული ენისა და დამწერლობის შესახებ. რეფერატების, პრეზენტაციების მომზადება, კალიგრაფიის კონკურსის ორგანიზება-ჩატარება; IV კვირა /25.03-20.03/საბოლოო პროექტისთვის: პროდუქტის შექმნა, პრეზენტაციის ჩატარება, **მასალის ატვირთვა ბლოგზე, თვითშეფასების** კითხვარების შევსება.